საბჭოთა ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

გასულ კვირას შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთ საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) – „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:0)

მოსკოვი. „ოლიმპიურის“ სპორტკომპლექსი. 15 ნოემბერი.

„სპარტაკი“: დასაევი, სუროვი, სუსლოპაროვი, ხიდიატულინი, ბოკი, მოსტოვოი, ე. კუზნეცოვი, პასულკო, შმაროვი, ნოვიკოვი, კუჟლევი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი (ფირცხალავა, 70), სვანაძე, ცვეიბა, კორღალიძე, გურული (ქეცბაია, 63), ფანცულაია.

მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).

გააფრთხილეს ხიდიატულინი.

დუბლიორები - 3:1

ამ მატჩის შედეგს პრაქტიკული მნიშვნელობა არც ერთი გუნდისთვის არ ჰქონდა: „სპარტაკი“ უკვე ჩემპიონია, თბილისის „დინამომ“, როგორც იქნა, შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ორივე გუნდს წლეულს ჯერ კიდევ წინა აქვს მეტად საპასუხისმგებლო თამაშები, კერძოდ, თბილისელები ბრემენის „ვერდერს“ უნდა შეხვდნენ უეფა-ს თასზე, სპარტაკელებს ფეხბურთის ფედერაციის თასის ფინალური მატჩი აქვთ ჩასატარებელი ხარკოვის „მეტალისტთან“. ამიტომაც ორივე გუნდი სრულ საბრძოლო ფორმაში უნდა იყოს. ალბათ ამის გამო მაყურებელმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ძველ მეტოქეთა შეხვედრისადმი, „ოლიმპიურის“ სპორტკომპლექსის დახურული დარბაზის ტრიბუნები სავსე იყო მაყურებლებით. მატჩის მსვლელობამ გულშემატკივართა ეს ინტერესი გაამართლა. მართალია, დასაწყისში თამაშში ერთგვარი სიფრთხილე და დაზვერვა ჭარბობდა, მაგრამ შემდგომში ბრძოლა თანდათან გამწვავდა, ორივე კართან შეიქმნა დაძაბული მომენტები. სპარტაკელები მეტს აქტიურობდნენ და მეკარე გაბელიასაც ძალზე მძიმე სამუშაო დააწვა. შეიძლება ითქვას, რომ თბილისელთა მეკარემ ამ მატჩში რამდენჯერმე გადაარჩინა თავისი კარი სპარტაკელთა მეტად სახიფათო იერიშების შემდეგ. ძნელი ბურთების აღება მოუხდა დასაევსაც. ტაიმის დასასრულს ორივე გუნდი უკვე სრული შემართებით და სიძლიერით იბრძოდა.

უფრო გამწვავდა თამაში შესვენების შემდეგ. 70-ე წუთზე თბილისელთ რიგებში ცვლილება მოხდა. მინდორზე გამოვიდა ფირცხალავა. იმავე წუთს მან კარგად ითამაშა, თავით მიიღო მარჯვენა მხრიდან მოწოდებული ბურთი და სპარტაკელთა კარის შორეულ კუთხეში გაგზავნა - 1:0.

მასპინძლები ბევრს ეცადნენ. მათი შეტევები დრო და დრო მეტად სახიფათო იყო. საბოლოოდ კი, 83-ე წუთზე, პასულკომ, რომელიც საუკეთესო გახლდათ სპარტაკელთა შორის, შეძლო საპასუხო ბურთის გატანა - 1:1.

ფრედ დამთავრებულმა მატჩმა „სპარტაკს“ ვერაფერი მოუტანა, თბილისელებმა კი ბოლო, 25-ე ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

ლელო 17.11.1987